№ 9.10, 11.12
ეროვნული ბიბლიოთეკა




საყმაწვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

1919. №№ 9, 10, 11, 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი:


1. სასიამოვნო სიზმარი—სურ. . . . . . . . . . .
2. ტაა-ჰიტა,—ლექსი **გ. ქუჩიშვილისა** . . . . . . . . 2
3. მონადირე,—**დ. კასრაძისა** . . . . . . . . . . 3
4. ფისუნა,—ლექსი **ს. კოლელაშვილისა** . . . . . . 12
5. აჯანყებული კიკო,—**ი. მჭედლიშვილისა** . . . . 14
6. კვიცი და ცხენი,—**შიო მღვიმელისა** . . . . . . . 16
7. ბავშვს,—ლექსი **ვ. რუხაძისა** . . . . . . . . . 17
8. ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი (გაგრძელება) თარგ. **კაკისა** . . . . . . . . . . . . . . . 18
9. შემოდგომა,—ლექსი **ილ. გოგისა** . . . . . . . . 24
10. ყველგან ცუდია,—თავისუფ. თარგ. **ნ. ყორჩიბაშისა** 26
11. ვახტანგი და მურკა,—**ვედრებისელისა** . . . . . . 30
12. ვინ არის ადამიანის საუკეთესო მეგობარი (დასასრული) თარგ. **თეო კანდელაკისა** . . . . . . . . . . . 31
13. კოკი და თინა,—**ლეო იმნაძისა** . . . . . . . . . 4
14. სახალისო სამუშაო: ხელოვნური ცხენი . . . . . . 44
15. მშობლებს . . . . . . . . . . . . . . . . . . . 46

# მონადირე.

* * *

დილილმე! დილილმე! დედილო, მესამე კლასში გადავფრინდი... ახლაც აღარ მიყიდი თოფსა!— სიხარულით შესძახა კოტემ, როცა უკანასკნელი სავალდებულო საგანიც მოიშორა და სოფელში წასვლის ნება მისცეს.

—ახლა ხომ მიყიდი... აკი შარშან დამპირდი, მერმის გიყიდიო... ჰო და ესეც შენი მერმისი. მე ჩემი დაპირება შევასრულე, ჩიტივით თავისუფალი ვარ, ახლა ჯერი შენზეა...

—„მიყიდე"... რომელ ქისიდან მიბრძანებ, შვილო, რომ ფულები ამოვიღო, მარჯვენიდან თუ მარცხენიდან?

—მე ეგ არ ვიცი,—შენიშნა გაჯავრებით კოტემ:—რომ დამპირდი, უნდა კიდეც შეასრულო...

—თუ კი მაგულებ რამეს, აიღე და იყიდე...

—არ მიყიდი, და მერმის ღმერთი გამიწყრეს, თუ ვისწავლო.

—მაგით ვის გააჯავრებ? არ ისწავლი და უსწავლელი შენ დარჩები... პურის ფული ვერ მიშოვნია... მამაშენი ზინგერი*) ხომ არ იყო, რომ ოქროები დაეტოვებინა... სოფლის მღვდელს შიმშილით კუჭი უხმებოდა. ნეტავი იმას, რომ მოკვდა...

---

*) საკერავი მანქანების ქარხნის პატრონის გვარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბევრი ივაჭრეს, მაგრამ კოტე მაინც უთოფოდ დარჩა. კოტე აიფხვირა, გაიბუტა, ინდოურივით ცხვირი ჩამოუშვა. უკმაყოფილოდ წავიდა სოფელში. კიდევ კარგი, რომ თანამგზავრად მარიანთ ნიკა შეხვდა, თორემ სულ თავპირი ჩამოსტიროდა. გზად ნიკამ გაახალისა: ერთად ირბინეს, ხან მეურმეობდნენ, ხან ჩიტებს დასდევდნენ, ხოლო როცა თავიანთ სოფლის ეკლესიის ჯვარს მოჰკრეს თვალი, ურემს თავი გაანებეს და ქაქანით ფერდები ამოიგდეს, ვიდრე მივიდოდნენ. ჯერ ამხანაგები მოირბინა, ყველანი დაჰკოცნა, სიყვარულით მოიკითხა, შემდეგ ისევ უკან გამობრუნდა დედის შესახვედრად.

— ერიჰაა, დედი, სოფელი კიდეც მოგვეწყინა... სად ხართ აქნობამდე?—

ახლა ურემში აუხტა და კოცნით უსაყვედურა:

— აბა, დედი, თოფი რომ არ მიყიდე, როგორ უნდა გავატარო ეს ზაფხული? თურმე ნიკასაც უშოვნია... ჩემი თვალითა ვნახე, ისეთი ჩახმახი აქვს, რომ... ფისტონს სულ არ აცდენს, პირდაპირა ჰხეთქავსო... გიოსაც უშოვნია, სანდალაანთ ვანესაც... მერე იმდენი ქედანი და მტრედი მოდის თურმე წრეულს ფერმაზე *), რომ იქაურობას აბნელებსო... ჩალებში კიდევ იხვები გაჩენილან...

— დამესხენ, შვილო, არა მინდა რა შენი... ემანდ ან ფეხში მოირტყამ, ან ვინმე შემოგაკვდება, და ეგ ღა მაკლია, აი...

*
* *

კოტეს ნაღველი ისევ ამხანაგებმა გამოამთელეს, ვისაც კი ჰქონდა თოფი, რიგ რიგობით ასროლინებდნენ. პირველად ჩიტების გუნდზე სცადა. მთელი ღობე კალოს პირად შეკუნწლული იყო ბეღურებით. კოტემ რომ თოფი აიღო, ხელმა კანკალი დაუწყო. შიშისგან იყო ეს, თუ სიხარულისგან, ვერ

*) ფერმას მარილიან წყაროს ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეტყოდათ, მაგრამ თვალი რომ შეგევლოთ, დაინახავდით, რომ ერთიც იყო და მეორეც. ის იქიდანაც სჩანდა, რომ ჩახმახი სულ გულის ფანცქალით ასწია, ხოლო ვიდრე დააცე-მინებდა, თავი უკან მოიღო და თვალები მოხუჭა, თოფი სახეში არ მეცესო.

— დგრრ!..

დაიგრიალა თოფმა. კოტემ თვალები დააჭყიტა, მაგრამ არ განძრეულა. ეს კია, რომ თოფი ხელიდან კინაღამ გაუვარდა. კიდევ კარგი, ამხანაგებმა ვერ შეჰნიშნეს, ყიჟინით ეცნენ ღობეს და თავწაწყვეტილსა და მოფრთხიალე ჩიტებს დაუწყეს წამოკრება.

— ბიჭოს, ბიჭოს, ე რამდენი დაიხოცა და... ეს ერთი... ეს მეორე... აი კიდევ ორი... აგერ ორიც ბალახში ჩავარდ-ნილა... აი ეს ოხერი სადა მვრება ღობეში... ეს რვა... ესეც მეცხრე... კიდევ მომებნე, ბიჭო... ეგ რა არის? არაფერია?... აბა ე ბორჩხვენას ფოთოლი გადასწიე...

კოტემ მხოლოდ ახლა აჭყიტა თვალები და სიხარულით ჩამოერია.

— რამდენი მომიკლავს?

— ცხრა ჩიტია...

— ახლა რამდენი დაიკარგებოდა...

ერთის ამბით ჩამოართვა ჩიტები და ბინისკენ მოჰკურც-ხლა.

— შეხე, დედილო, რამდენი დავხოცე...

კოტე სიხარულით ყელზე შემოექნა.

— ხომ ხედავ...

— სულ შენ დახოცე?

— ერთი სროლით, დედი, მარტო ერთი სროლით დავ-ხოცე...

— რას მეუბნები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ...

ყოყოჩობდა კოტე. ამხანაგებმა დასტური მისცეს.

— ეი, ეი! ნამდვილი ვაჟკაცი შვილი გამზრდია!

დედასაც იამა შვილის ასეთი ყოჩაღობა, თითონაც პატარებში აერია: ერთის ამბით ჩიტები დაასველა, ცხელს ნაცარში წაჰფლა, დაბტყვნა და პატარა მონადირეს გემრიელი სადილი გაუკეთა. ამხანაგები დღეს მის ნანადირევზე დაუპატიჟა. იმათაც თავთავიანთი წვლილი მაწონი, რძე და ჭადები მოიტანეს და არიფანა გადაიხადეს..

*
* *

კოტე თანდათანობით თოფის სროლას შეეჩვია და მალე მონადირის სახელი გაითქვა ამხანაგებში. ან და რატომაც არ იქნებოდა მონადირე: მიზანში საკმაოდ სწორედ იღებდა და თვალებსაც აღარ ჰხუჭავდა სროლის დროსა. ისიც უნდა ითქვას, რომ ახლა ჩიტების გარდა შინაურ მტრედებზეც გაიმარჯვა, ვიდრე ესენი არ უფრთხოდნენ. მაგრამ როდესაც ალღო აუღეს, ისინიც ისევე მიუკარებელნი გახდნენ, როგორც გარეული მტრედები. სამაგიეროდ ვარიებს გაუსვა ხელი. ვისმეს ბაღჩაში რომ გადაიპარებოდა, აქეთ-იქით მიიხედავდა, შემდეგ ესვროდა. თუ მოჰკლავდა, მაშინვე ბალახებში წაჰფლავდა.

— რას ესროლე, კოტე?

ჩიტებს!..

— ე ბიჭი მეჩიტე გახდა...

ამბობდნენ სოფლელები. კოტე კი ამხანაგებს ატყობინებდა და ფარულად ნიკაანთ ვენახში გასწევდნენ და იქ იხდიდნენ არიფანას...

რომ ეს ნადირობა ყველაზე სახიფათო გზა იყო, კოტეც კარგადა გრძნობდა და იმისი ამხანაგებიც, მაგრამ მაგარიც ის იყო, რომ ვარიის მოკვლა უეჭვო იყო, თოფი უბრალოდ არ

მოსცდებოდა და ნანადირევიც მეტად ჩასაკოკლოზინავებელი გემოსი იყო. უნდა გენახათ, რა ამბები ჰხდებოდა საღამ-საღამოობით:

— კოკო, შე ბროკო შესაყრელო, სად დაიკარგე, მოდი ე ქოჩორა ქათამი ნახე, სადღაც გადაეფარა...

— სოფო, სოფო!.. ნაცარა ნახე...

— ჭრელა ვარია...

— ოსიაურისეული ვარია დაიკარგა...

— ნახეთ, თრითინამ ხომ არ დასჭრა ყელები...

მართალია, ჯერ აზრად არავის მოსვლია სოფელში ორფეხა თრითინის შემოჩვევა, მაგრამ კოკა ხომ წყალზე ტყდება, და ჩვენი მონადირეც თავის ამხანაგებითურთ დაიჭირეს...

*
* *

ეს ამბავი სულ უბრალოდ მოხდა: თითონ კოტე, ნიკა, სანდალაანთ ვანე, ჭილა, სოსიკა, თალაანთ ბოთა და ყილაანთ ლაუტა ერთად დარაზმული მიდიოდნენ. როცა სოფლის გარედ გავიდნენ, ბაღჩაში არც კი მოინდომეს გადასვლა, გათამამებულთ სული წასძლია ერთმა ვარიამ, რომელიც საბძლის ბოლოს ბუჩოს ჰქექავდა.

— ე რაღა შორს მივდივართ, ესროლე, კოტე!..

ნიკას რჩევა ჭკუაში დაუჯდა, თოფი მხრიდან გადმოიღო, ესროლა კოტემ, მაგრამ აჩქარებისგან მიზანი ცოტა დაბლა მოუვიდა და დაჭრილი ვარია წივილ-კივილით და ფართხალით შინისკენ შურდულივით გაეშურა. ამხანაგებს ფერი ეცვალათ.

— არიქათ, თორემ დავიღუპეთ...

ზოგი გაიქცა; ერთმა ორმა სითამამე გამოიჩინეს, ვარიას წინიდან უყელეს და სახრეთი თავი წააწყვიტეს. ნიკამ მარჯვედ ჩოხის კალთაში ამოიდო და ვენახისკენ გაეშურა. მას ამხანაგები მიჰყვნენ. ნელნელა გაქცეულებმაც პირი მოიბრუნეს

ეროვნული

და ტუსტუსით უკან დაედევნენ. სრულიად ვერ შეჰნიშნეს, რომ მათ სოფლის მეველემ მოჰკრა თვალი, ქვა აიღო და ფარულად უკან აედევნა. გახარებული ამხანაგები ერთის ამბვით შეუდგნენ ვარიის ბტყვნას.

— უ, ბიჭო, კინაღამ არ დავიღუპეთ...

— მარტო ფეხში მოხვედრია...

— ანასინო! ვერ წავაწყვიტე თავ-კისერი!

ამაყად სთქვა ნიკამ.

ქათამი უკვე ნახევრად გაბტყვნილი იყო, რომ მეველე თავზე წამოადგათ:

— აქ რას აკეთებთ?

ყველას ფერი ეცვალათ. რამდენმამე კიდეც გაჰკურცხლა.

— ჩემი ბრალი არ არის,—შეჰღრიალა ნიკამ და კოტეზე მიუთითა:

— აი, ე მაგან ესროლა...

— ეს რა მოგიკლავთ?

— ღალღაა!..—იცრუა კოტემ. მეველემ თვალები დააჭყიტა.

— ეს კარგი ღალღაა! შენმა მზემ...

— დედა არ მომიკვდება, ღალღაა!

— აჰა, ღმერთო ჩემო, მაბრმავებ თუ: ღალღას ვერა ვცნობ, თუ რა არის?

— ჩემი ბრალი არ არის!..—შეჰღრიალა ხელახლად ნიკამ და გაქცევა მოინდომა, მაგრამ მეველემ მაგრად წაავლო კისერში ხელი:

— მოიცა, სად მიხვალ... აგრე ადვილად ვერ გადამირჩებით... აიღე ეს ქვაბი...

ნიკამ აკანკალებული ხელით ასწია ქვაბი.

— შენც ეი, რას იბღვირები? ვითამ რაო, აქაო და ღვდლის შვილი ვარო, ვერ გაკადრებ, თუ? ისეთ სახრეებს გითუთქავ, რომ ტყავი აგამვრინო ე კანჭებზე... მოდი, აიღე ე ქათამი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მეტი ჯანი იყო: კოტემ ქათამი აიღო, ცალი ყურით ქვების ყური დაიჭირა. მეველემ თოფი ჩამოართვა და ამ თოფით შემოატარა მთელი სოფელი:

— ვარიების ქურდები დავიჭირე... აი, ე მონადირე ბრძანებულა...

დედაბერთა კრიახს საზღვარი არა ჰქონდა, ყველამ თავისი ქათამი იცნო მოკლულ ვარიაში; მაგრამ სტყუოდნენ: ვარიანიკას დედასი გამოდგა:

— ე რა გიქნია, შვილო, ჩემი ვარია რად მოჰკალი?

— არიფანა გვინდოდა, დედი, და მიტომ... მაშ სხვისას ხომ არ მოვკლავდი?..

გული მოეცა ნიკას, რომ მეველეს ბურთი ამითი ჩასჩარა:

— აი, მარცხენა ნეკის ფჩხილი აქვს წაჭრილი... ამას კი ეგონა, ვითომც სხვისი ქათამი მოვკალი...

ამასობაში კოტეს დედამაც გაღმოირბინა, ბევრი სწყევლა, თავს ნუ მჭრიო.

— რა გინდა, დედავ და თვალო, არ მინდა შენი არც ქათამი და არც ირემი... რაც შენი საქმე არ არის, თავი გაანებე, შვილო...

*
* *

მართალია, კოტე სირცხვილს ნახევრად გადურჩა ნიკას წყალობით, მაგრამ იმ დღიდგან ნადირობა მაინც ეკრძალებოდა. ისევ შინ რჩებოდა. დაიფიცა კიდეც თოფი ხელში არ აეღო, მაგრამ ეს მხოლოდ ხუთიოდე დღის მარხულობა იყო. ბოლოს გულმა ვეღარ გაუძლო და ჩუმად სანადიროდ გაიპარა: დილა-ადრიანადვე გასწია ფერმაზე, რომ ქედნები დაეხოცნა, მაგრამ, იღბალი თუ რაღაცა — იმ დღეს ხან ვინ გამოიარა და ხან ვინ, როცა ქედანი ან მტრედი მოფრინდებოდა, ან საქონელი მოვიდოდა მარილის წვენის შესასრუპად, ან მგზავ-

რი. ორჯელ ესროლა კიდეც, მაგრამ ვერ მოარტყა. გაჯავრე-ბული შინ დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ამ დროს ფერდობზე გამოიარა და გაახსენდა, რომ ნიკამ კურდღელზე ჩასაფრება სწორედ ამ ადგილზე ურჩია. მართალია, შიოდა, მაგრამ კურდ-ღლის მოკვლის სურვილმა იმდენად გაიტაცა, რომ შიმშილიც დაივიწყა და შიშიც. ახსენა ღმერთი, ტყავის ქუდი ქვეშ დაიგო და დაიწყო ლოდინი.

ტკბილმა აზრებმა გაიტაცა კოტე: იგი ათას რამესა ჰხე-დავდა: ხან ისე მოეჩვენა, თითქოს ათასი კურდღელი ერთად გამოუხტა, ხან თითქოს შველი ყერმოღერებით დაუდგა წინ, ხან თითქოს ირმის ჯოგს გაეკიდა, რამდენიმე კიდეც მოჰკლა და სოფელში დაიბარა გამვლელს—ურემი ამოიტანონ წასაღება-დაო. ვინ იცის, კიდევ რამდენი წერო, ან გედი და იხვი მოჰ-კლა. ახლა ქედანზე და მტრედზე კიდეც ენანებოდა თოფის წა-მალი. ამასობაში მზე ჩაიწვერა, ბინდბუნდმა მოიცვა არემარე, ტყეში ფრინველებმა ღამის ნანა იგალობეს. აი, სადღაც შაშვმა დაიჭახჭახა, და კოტეც გამოფხიზლდა. მან კარგად იცოდა, რომ შაშვის ჭახჭახი კურდღლის გამოსვლას მოასწავებს. მართლაც, შეშფოთებული შაშვი ფრთების ცემით რაღაცას ბუჩქებში ჩააფ-რინდა, წუთიც; და შლაგა-შლუგით ხვადი კურდღელი გამოიჭრა.

კოტეს გულმა ფანცქალი დაუწყო.

— გენაცვა სულში, გაჩერდი... გაჩერდი!..

ეჩვეწებოდა აცეცხლებული თვალებით სუნთქვა-მოხშირე-ბული კოტე. კოტემ უცადა, უცადა, მაგრამ ვეღარ მოითმინა, ადგა და დიდი სიფრთხილით ადგილი გადაინაცვლა. კურდ-ღელმაც თითქოს განგებ ადგილი გამოიცვალა. კოტე სიფრთ-ხილით გაეკიდა. ის ადგილი თითქმის ორჯელ შემოატარა. კურდღელი ბუჩქებში გამძვრებ-გამოძვრებოდა, შეჩერდებოდა, ნამს შესრუტავდა, ყურებს ააწკაპუნებდა, თათებით პირს მოიბანდა და ისევ გაიკუნტრუშებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ გენაცვალე, კურდღელო, შენი ჭირიმე, ერთ წუთით გამიჩერდი!..

ევედრებოდა გულში კოტე.

დიდი ხვნეშა-ვაივაგლახისა და მიპარვის შემდეგ კურდღელმა თითქოს უსმინა ვედრება ბუჩქიდან ბუჩქში გაძვრა, გამოძვრა და გაჩერდა. კოტემ ერთის ამბით თოფი დაუმიზნა.

— დგრრრ...

დაიგრიალა თოფმა და არემარემ ყრუ გამოძახილით უპასუხა. კოტე წამოხტა. კარგად შეასწრო თვალი, რომ კურდღელი რამდენიმე სიმაღლეზე აისროლა და პატარა ბუჩქს იქით გადააგდო.

— დილილმე!..

შესძახა გახარებულმა კოტემ, ბუჩქიდან ბუჩქს გადაევლო, მიიჭრა დანიშნულ ადგილს და... თქვენს მტერს, რაც იმას დაემართა: კურდღლის ადგილას თავისი დაფლეთილი ქუდი შერჩა ხელში.

— ვაიმე, დედავ!—დაიძახა:—ახლა რაღა უნდა ვქნა!

ქუდი იმდენად დაფლეთილიყო, რომ აღარ დაიხურებოდა.

— შენ კი გაგატიალოს ღმერთმა, ფუ!—

სთქვა გულდაწყვეტით ჩვენმა მონადირემ.

— ახია ჩემზე, რომ დავიფიცე, რაღას მოვკიდე ამ თოფს ხელი!.. იმ დღეს ხომ შევრცხვი, ახლა უქუდოდ უნდა დავბრუნდე შინ... ის ღა მაკლია, რომ პირზე მური წავისვა...

მაგრამ კოტეს აღარც ეს ეჭირებოდა: თოფის კვამლს საკმაოდ შეერუჯნა მისი სახე, თითქოს ბუხრიდან ეს-ეს არის ახლა გამომძვრალაო.

. კოტემ ხელახლად მძიმე ფიცი დასდო თოფი ხელში აღარ აიღოს, მაგრამ შეასრულებს კი ამ ახალს ფიცს?...

დ. კასრაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ფ ი ს უ ნ ა.

ფისო ხტის, თამაშობს,
დედის წინ რბის;
ხან ნაზობს-იცქნაფვის,
ხან მაღლა ხტის...

კინკლაობს დასთანა,
ულვაშებს ისწორებს;
პირს იბანს მალი-მალ,
თავის თავს იწონებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხტის მარდად, მოქნილად,
დარბის, ხან ხრიალებს;
კნავალა, მჩხავანა,
კრუტუნებს, ტრიალებს.

უეცრად შეხტა, კაბას დაეკიდა,
ტახტიდან მარგინე დაბლა დაჰკიდა;
ჭიქა ძირს დაეცა, რძე დაიღვარა,
პაწია მარგინე ძირს გაიშხლართა.

სტირის და ყვირის,
მარგინე გორაობს...
ფისუნა გარს უვლის,
ფისუნა ხტუნაობს.

ს. კოლელიშვილი





# აჯანყებული კიკო.



მზე დასავლეთში ჩაეკიდა.

კიკო ფეხაკრეფით მივიდა ვენახის თავში ღობესთან და შიგ გადაიხედა. თავისოდენა მტევნები ჩამოჰკიდოდა ვაზებსა და ჩამავალ მზეზე ისე ღუოდნენ, თითქო ეს არის უნდა აინთნენო.

— ჭა ჭაი, შე დასაქცეო, მანდ რას გადაჭყურებ! ხომ არა გნებავს გადამვრე ვენახში და გამომღე?—დასძახა თავზე მოხუცმა ივანემ.

კიკო გამტყუნებულივით გამობრუნდა და იქვე სათონესთან დაიწყო კუკუნი. რო მოეწყინა, წავიდა იქიდან და ისევ ვენახის ღობეს მიადგა, მაგრამ ივანეს შეეშინდა და ისევ უკან გამობრუნდა საქათმესაკენ. საქათმის ახლოს რო მივიდა, შიგ ქათმებმა ყურყუტი დაიწყეს. კიკო დაფიქრდა, დაფიქრდა, და მერე თითქოს მიხვდა, რისთვისაც არიან დამწყვდეულნი ქათმები, გაბრაზებულმა ჩამოხსნა საქათმის ურდული, გრძელი ჭიგო, და შეაღო შიგ კარი.

ქათმები განცვიფრდნენ და ხმა ვერ ამოიღეს.

კიკომ ცოტახანს მოიცადა.

როცა ქათმები სულ გაჩუმდნენ და სმენად იქცნენ:

— ამხანაგებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

№№ 9, 10, 11, 12

1919

წელიწადი მე-XV. ივლისი და აგვისტო.



სასიამოვნო სიზმარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ტაა-ჭიტაა!

ჯერ მამალსაც არ ეყივლნა,
ჯერ თვალიც არ მოგვეფშვნიტა,
რომ კუდიან ბიჭიკომა
კურდღელივით ყური სცქვიტა.

---

ციყვისავით წამოსკუპდა,
ეშმაკურად შემოგვჭყიტა;
გაიცინა, გაგვაცინა,
შემოგვძახა: ტაა-ჭიტააა!

გ. ქუჩიშვილი.

— რა დიდი საქმეა! — უპასუხა ნესტორამ: — ერთმანეთში მოვაგროვეთ ორი თუმანი. თუმანი გადასახადი შეიტანე და თუმნისა უყიდე რძე ამ საცოდავებს.

## V.

მეორე დღეს, როცა გაათავა გაკვეთილები, შურდულივით გაჰქანდა ვახტანგი ქალაქის საბჭოსაკენ. შეიტანა ფული და ძვირფას ნივთივით შეინახა ბილეთი საფულეში.

თითბრის ნომერი ნატომ შეაბა კანაფზე და მურკას გაუკეთა ყელზე, — მურკა, წავიდეთ ფურნეში, ახლა კი აღარ დაგახრჩობენ!

მურკამ თითონ იგრძნო თავის ბედნიერება, მხიარულად და კუდის ქნევით ვახტანგს მისდევდა.

ნატოს კოკის ნამტრევში ჩაესხა რძე და კიბეს ქვეშ ლეკვებს ასვლეპინებდა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვინ არის ადამიანის საუკეთესო მეგობარი

(დასასრული)

სუდგამს სწავლის ვადა გაუვიდა და დედასთან დაბრუნდა. შინ მიმავალს წინ გადაუდგა ერთი პაწია ნადირი, სწორედ იმ ალაგას, სადაც მან რამდენიმე ხნის წინად მუნგოს სიცოცხლე ვერცხლად გამოისყიდა. ნადირს კბილებში ეჭირა ბეჭედი, რომლის ძვირფასი თვალი ნაპერწკალივით ანათებდა.

სუდგამი შეჩერდა და ნადირს ყურადღება მიაქცია, ხოლო ის ადამიანის ენით გამოელაპარაკა:—

დიდი ხანია ეს ბეჭედი მიწაში ეგდო, როგორც გამოუსადეგარი ნივთი, მაგრამ მას ისეთი სასწაულთმოქმედი ძალა აქვს, რომ რასაც ინატრებ, ყოველივე ასრულდება. მომირთმევია შენთვის, კეთილო ადამიანო, ჩემზე მოღებულ სიკეთისათვის. მხოლოდ ერთ რამესა გთხოვ, და არ დაივიწყო: არასოდეს ის თითიდან არ წაიძრო, და არც არავის გაუმხილო ამისი ძალა, თუ გინდა სიხარული და ბედნიერება განუშორებლად თან გდევდეს.

სუდგამმა იცნო, რომ ეს იყო „მუნგო“ და მის ლაპარაკზე ძლივს იკავებდა სიცილს, რადგანაც არ უნდოდა ეწყენინებინა მისთვის. საჩუქარი მადლობით გამოართვა და აღუთქვა,

რომ შეუსრულებდა სურვილს და ბეჭედს მის სახსოვრად თითიდან არ მოიშორებდა...

სუდგამი რომ შინ მივიდა, დედას ისეთი ალერსითა და სიყვარულით მიეგება, რომ გული სიხარულით აღუვსო.

— შვილო, შენმა მხიარულმა სახემ და სიყვარულით აღსავსე გულმა ისე გამიქარვა ჯავრი, რომ სრულიად დამამშვიდა; დამავიწყა შენი მოშორების შემდეგ გამოვლილი მწუხარება და გულ, ახდილად შემიძლია გამოგიტყდე, რომ ჩემი უგუნურობითა და გამოუცდელობით, თუ ბედის წერით, მამა—შენისაგან დატოვებული ფული და დოვლათი სულ ერთიან გამომეცალა ხელიდან და ოჯახი ცარიელი დაგახვედრე,—უთხრა დედამ.

მაგისთვის ნუ სწუხარ, დედაჩემო! ღმერთი მოწყალეა და თვის გაჩენილს კიდეც დაარჩენს! მე ვიშრომებ და არას მოგაკლებ!... აჰ, ნეტავი შენ სასიამოვნოდ ისე გავმდიდრდებოდე, რომ დიდ სასახლეს შევიძენდე, მყავდეს მსახურები შენი ბრძანების ასასრულებლადაო,—ინატრა სუდგამმა, უნებლიედ ხელი ბეჭედს შეახო და.... ჰოი, საკვირველებავ! იმათი ქოხი დიდებულ სასახლედ იქცა, დიდი მაგიდა ნაირ-ნაირი სანოვაგითა და ტკბილეულობით აივსო; შემოდიოდნენ მსახურნი და მოწიწებით სთავაზობდნენ სუდგამსა და დედა მისს საუკეთესო სასმელ-საჭმელებს, რომლის მსგავსი მათ სიზმრადაც არ ენახათ. ბოლოს შემოვიდა სახლთუხუცესი და დედა-შვილი მდიდრულად მორთულ ოთახებში შემოატარა.

---

მაღლი და კატა მალე შეურიგდნენ ახალ ოჯახის წეს-წყობილებას, მოწყობილობას და ფუფუნებით ცხოვრებას. კატუნა არხეინად წამოწვა ხავერდ-გადაკრულ გერმის ბალიშზე, მაღლი კი—სუდგამის ფეხ ქვეშ დაფენილ მეიროფას ხალზე და მიეცნენ ნებივრობას.

ახლა სუდაგმი ყველაფრით სრული და კმაყოფილი იყო;

# ვინ არის ადამიანის საუკეთესო მეგობარი

(დასასრული)

სუდგამს სწავლის ვადა გაუვიდა და დედასთან დაბრუნდა. შინ მიმავალს წინ გადაუდგა ერთი პაწია ნადირი, სწორედ იმ ალაგას, სადაც მან რამდენიმე ხნის წინად მუნგოს სიცოცხლე ვერცხლად გამოისყიდა. ნადირს კბილებში ეჭირა ბეჭედი, რომლის მვირფასი თვალი ნაპერწკალივით ანათებდა.

სუდგამი შეჩერდა და ნადირს ყურადღება მიაქცია, ხოლო ის ადამიანის ენით გამოელაპარაკა:—

დიდი ხანია ეს ბეჭედი მიწაში ეგდო, როგორც გამოუსადეგარი ნივთი, მაგრამ მას ისეთი სასწაულთმოქმედი ძალა აქვს, რომ რასაც ინატრებ, ყოველივე ასრულდება. მომირთმევია შენთვის, კეთილო ადამიანო, ჩემზე მოღებულ სიკეთისათვის. მხოლოდ ერთ რამესა გთხოვ, და არ დაივიწყო: არასოდეს ის თითიდან არ წაიძრო, და არც არავის გაუმხილო ამისი ძალა, თუ გინდა სიხარული და ბედნიერება განუშორებლად თან გდევდეს.

სუდგამმა იცნო, რომ ეს იყო „მუნგო“ და მის ლაპარაკზე ძლივს იკავებდა სიცილს, რადგანაც არ უნდოდა ეწყენინებინა მისთვის. საჩუქარი მადლობით გამოართვა და აღუთქვა,

ბიბლიოთეკა

რომ შეუსრულებდა სურვილს და ბეჭედს მის სახსოვრ[illegible]თიდან არ მოიშორებდა...

სუდგამი რომ შინ მივიდა, დედას ისეთი ალერსითა და სიყვარულით მიეგება, რომ გული სიხარულით აღუვსო.

— შვილო, შენმა მხიარულმა სახემ და სიყვარულით აღსავსე გულმა ისე გამიქარვა ჯავრი, რომ სრულიად დამამშვიდა; დამავიწყა შენი მოშორების შემდეგ გამოვლილი მწუხარება და გული, ახდილად შემიძლია გამოგიტყდე, რომ ჩემი უგუნურობითა და გამოუცდელობით, თუ ბედის წერით, მამა—შენისაგან დატოვებული ფული და დოვლათი სულ ერთიან გამომეცალა ხელიდან და ოჯახი ცარიელი დაგახვედრე,—უთხრა დედამ.

მაგისთვის ნუ სწუხარ, დედაჩემო! ღმერთი მოწყალეა და თვის გაჩენილს კიდეც დაარჩენს! მე ვიშრომებ და არას მოგაკლებ!... აჰ, ნეტავი შენ სასიამოვნოდ ისე გავმდიდრდებოდე, რომ დიდ სასახლეს შევიძენდე, მყავდეს მსახურები შენი ბრძანების ასასრულებლადაო,—ინატრა სუდგამმა, უნებლიედ ხელი ბეჭედს შეახო და.... ჰოი, საკვირველებავ! იმათი ქოხი დიდებულ სასახლედ იქცა, დიდი მაგიდა ნაირ-ნაირი სანოვაგითა და ტკბილეულობით აივსო; შემოდიოდნენ მსახურნი და მოწიწებით სთავაზობდნენ სუდგამსა და დედა მისს საუკეთესო სასმელ-საჭმელებს, რომლის მსგავსი მათ სიზმრადაც არ ენახათ. ბოლოს შემოვიდა სახლთუხუცესი და დედა-შვილი მდიდრულად მორთულ ოთახებში შემოატარა.

---

ძაღლი და კატა მალე შეურიგდნენ ახალ ოჯახის წეს-წყობილებას, მოწყობილობას და ფუფუნებით ცხოვრებას. კატუნა არხეინად წამოწვა ხავერდ-გადაკრულ გერმის ბალიშზე, ძაღლი კი—სუდგამის ფეხ ქვეშ დაფენილ ძვირფას ხალზე და მიეცნენ ნებივრობას.

ახლა სუდგამი ყველაფრით სრული და კმაყოფილი იყო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკლდა მხოლოთ გულის სწორი, ცხოვრების უღლის გამწევი ამხანაგი—მეუღლე. მაგრამ ესეც მალე შეიძინა.

იმისი სიმდიდრის სანახავად მოსიარულე აურებელ სტუმართა შორის ერთხელ მოსაზღვრე მეფის ქალიშვილიც მოვიდა. მოეწონა და შეუყვარდა სუდგამს ტურფა ასული; მეფემაც დასტური დასცა მის სურვილს, რადგან იმაზე ჭკვიანი, მდიდარი და ლამაზი ჭაბუკი მეორე არ მოიპოვებოდა იმ მხარეში. მეფის ასულიც მოხიბლა სუდგამის მიერ ჰირისანახავად მორთმეულმა ძვირფასმა საჩუქარმა, მისმა იშვიათმა ხასიათმა და თვისებამ—ერთგვარის სიყვარულითა და ალერსით რომ ეპყრობოდა დიდსა და პატარასა, ღირსსა და უღირსს—და ანგარიშ-მიუცემლად დათანხმდა შეუღლებაზე!... მაგრამ ასეთმა აღმატებულმა სიყვარულმა იჭვიანობაც გამოიწვია მის გულში და სწუხდა, სტიროდა იმ ფიქრით, ვაი თუ დიდ სიყვარულს დიდი სიძულვილი მოჰყვეს და გაქარწყლდეს ოდესმე ჩვენი ასეთი სიყვარულიო.

მეფის ასულთან ხშირად მოდიოდა მეცნიერი ბრამინი (ქურუმი), მისი ყოფილი მასწავლებელი, იმას დიდი ხანი თვალში ამოეღო სუდგამის ბეჭედში ჩასმული ნატვრის თვალი, იმისი თილისმის ძალა, და გადაეწყვიტა იმისი ხელში ჩაგდება!

ერთხელ ბრამინს სუდგამის მეუღლე დაღონებული დახვდა, ქმრის სიყვარულზე ეჭვიანობით, და ურჩია ქმარი გამოეცადნა:

შენი ქმარი დღე-და-ღამ ჩაფიქრებული არის. აქვს ბეჭედი, რომელსაც, როგორც შენ თვითონ ჰხედავ, თითიდგან არ იშორებს. სცადე, რომ გათხოვოს ცოტა ხნით ბეჭედი, და თუ უარს გეტყვის, მაშინ გექნება მოწყენის უტყუარი საბუთი, თუ შეელევა და გათხოვებს, ამითი დარწმუნდები, რომ ტყუილი ყოფილა შენი ეჭვებიო.

მართლაც ცოლი ქმრის გამოცდას შეუდგა: იმ დღესვე [illegible] ბეჭედი, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულკეთილმა სუდგამმა უარის თქმა ვეღარ მოახერხა, გადასცა ბეჭედი და უთხრა:

მე შენ სულსაც არ დაგიჭერ, ჩემო სიცოცხლევ, არა თუ ბეჭედს, მაგრამ გთხოვ, არამც და არამც თითიდან არ წაიძრო, თუ ჩემი სიყვარული გაქვს და არ გინდა დამღუპო, ჩვენი ყოველივე ბედნიერება ამ ბეჭედშია და ამისი დაკარგვა ორივეს გვაზარალებს და დაგვღუპავსო.

ცოლმა შეჰფიცა. მეორე დღეს მედიდურად გაუმხილა მასწავლებელს იმისი რჩევის შედეგი და გაუშვირა ბროლის თითი, რომელსაც ამშვენებდა ძვირფასი ბეჭედი. ქურუმმა დიდად მოიწონა ბეჭედი და სთხოვა ერთ წამს ეჩვენებინა, რომ გაესინჯა ეს ძველი ხელოვნება. გულუბრყვილო ქალმა მასწავლებელს უარი ვერ უთხრა, თავმომწონედ გადასცა ბეჭედი. ჩაიგდო რა ბეჭედი ხელში, ქურუმი მყისვე ყვავად იქცა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და დაცინვის ჩხავილით გაფრინდა და აღარც დაბრუნებულა...

დიდათ შესწუხდა სუდგამი, მაგრამ სინანულით აცრემლებულ მეუღლის ღალატი და გამოუსწორებელი შეცდომა მაინც აპატივა და უთხრა სასოწარკვეთილებით:

— მე თვითონ რომ ვუღალატე ჩემს პატიოსან სიტყვას და ვერ შევასრულე აღთქმა, შენ რაღა პირით უნდა გისაყვედურო! ახლა მე სიმდიდრის დაკარგვა ისე არ მაწუხებს, როგორც შენი განშორების შიში...

---

დაღონდნენ კატა და ძაღლი, საყვარელ პატრონს რომ მწუხარებისაგან გამოშტერებულს ჰხედავდნენ, და ქალბატონი რომ ყოველ მცირეოდენ ხმაურობაზე შიშით კანკალებდა, მაგრამ ვერ გაეგოთ ამისი მიზეზი. ერთხელ კატა შეიმალა საწოლზე აფარებულ აბრეშუმის ფარდის ქვეშ, და ყური უგდო ქალბატონის ბოდვას სიზმარში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ვიცოდი, რომ ამ საქმეში წყეული ქურუმი იყო ჩარეული, მაგრამ მოკვდეს კატუნა და შეურცხვეს ულვაში, თუ მე იმას ეს შევარჩინო! ჯერ ვნახავ, გვიშველიან თუ არა რამეს ტყის გრძნეული ფერიები (ჭინკები), და მერე მე ვიცი!—იფიქრა კატამ.

ღურღუმელ ტყეში დაბინავებულმა ფერიებმა კატას უარი უთხრეს დახმარებაზე:—ჩვენ რაში გვეპრიანება, კატუნავ, ხალხის სიხარული თუ მწუხარება, ბედნიერება თუ უბედურებაო! და გაწბილებული გამოისტუმრეს. უხაროდათ ფერიებს, რომ ასე ადვილად მოიშორეს თავიდან გამაბეზრებელი უცხო სტუმარი, მაგრამ ის კი არ იცოდნენ, რომ კატუნა ულვაშებს ქვეშ იღიმებოდა და ახალ გეგმებს ადგენდა.

იმ გუბეს ზემოდ, რომელშიაც ბანაობდნენ ხოლმე ღამღამობით ფერიები, კლდეში გვირაბი იყო დატანებული. კატუნა გაცუნცულდა და იქ შეძვრა... ჭინკებმა რომ შუაღამისას სიფრიფანა ჩადრები, უჩინ-მაჩინის მანდილები, ზიზია გულსაკიდები მოიხსნეს, მსწრაფლ ქოშები გაიხადეს და ანკარა წყალში ჩაცვივდნენ საჭყუმპალაოდ, კატუნამ იდროვა, მიეპარა ფეხაკრეფით, მობოჭა ყველაფერი და გვირაბის კედლის ნაპრალში მიიმალა. ჭინკებმა რომ ჭყუმპალაობით გული იჯერეს გ ა ბ ა ნ ი ლ, გასპეტაკებული ამოვიდნენ მორევიდან თმაგაწეწილები, სიცილ-კისკისით, და მიიხედ-მოიხედეს, პირ-კატა ეცათ!.. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ თავიანთი სამკაულები ვეღარსად იპოვნეს და აბა ტიტვლები, დედიშობილა სადღა გამოჭყოფდნენ თავს სირცხვილით!. ამასობაში შუაღამეც გადავიდა, ამის შემდეგ ჭინკების იქ დარჩენა აღარ შეიძლებოდა, შიშით და სირცხვილით თრთოდნენ, თმებს იბღლჯნიდნენ და ერთმანეთს ეხვეოდნენ... კატუნა ულვაშის გრეხით თავს წაადგა, სალამი მისცა, „აბანო გაამოთ", „დათვი მჭლე, თქვენ მსუქანიო", მიულოცა, ბოდიშიც მოიხადა ზდი-

—ფერიებო, ქალბატონებო! მართალია, თქვენ უკვე უარი განაცხადეთ, მაგრამ თქვენს იქით გზა არა მაქვს და კიდევ გთხოვთ დახმარება გამიწიოთ და მიმსახუროთ: ყვავად ქცეული ქურუმი კუნძულზე გაფრენილა, იქ ჩვეულებრივი სახე მიუღია და დიდებულ სასახლეში დაბინავებულა. თუ გამიკეთებთ ზღვაში იმასთან მისასვლელ ხიდს, ხომ კარგი, თქვენს სამკაულებს დაგიბრუნებ, თუ არა და მასე ბრძანდებოდეთ დედიშობილა და რაც მოგივათ, თქვენის თვალით დაინახავთო!..

ჭინკები შეშფოთდნენ; მეტი გზა არ ჰქონდათ; დაფაცურდნენ და თვალუწვდენელ უძირო ზღვაზე კატას მაგარი ხიდი გაუკეთეს, შებინდებისას კატუნა ხიდზე გავიდა, მიეპარა მძინარე ბრამინს, თითიდან ბეჭედი წაამრო და მოჰკურცხლა, ბეჭედი თავის ერთგულ პატრონს მიართვა სასიამოვნო კრუტუნით.. სუდგამმა და მისმა მეუღლემ კატუნას ალერსიანად მიეფერნენ, თავზე ხელი გადაუსვეს, თვალები დაუკოცნეს, ცვრიანი სუკით გაუმასპინძლდენ და ზედ ნაღებიანი რძეც დააყოლეს. კატუნა გამოძღა სუკებით, გადაჰკრა, შეზარხოშდა რძით, მგზავრობით დაღალულ-დაქანცული რბილ ბალიშზე წამოწვა და ხვრინვა ამოუშვა!..

ძაღლს ძალიან შეშურდა, რომ ასეთი სამსახური პატრონისადმი და პატივის ცემა მას არ ხვდა წილად და დაღონებული თავი ჩაჰქინდრა,

—უსარგებლო ვყოფილვარ პატრონისთვის და რჩენის ღირსი არა ვარ მისგანაო,—ამოიოხრა კუდამოძუებულმა და მიწვა გულნაკლულად ეზოს კუნჭულში.

ვერ მოითმინა სუდგამმა ძაღლის ასეთი გულნაკლულობა იმასაც მიუალერსა, გაამღო და ბინა თავის საწოლ ოთახის კარებთან მიუჩინა, რომ ღამე ავაზაკები არ შემოჰპაროდნენ. ძაღლმა თავი ინუგეშა, რომ ისიც საჭირო გამოდგა პატრონისათვის და ღამით ერთგულად დარაჯობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუნი აიღო. თურმე მოსყიდულ მსახურს ღია დაუტოვებია დარბაზის სარკმელი, საიდანაც ავაზაკები უნდა გადმოპარულიყვნენ და სუდგამი მოეკლათ.

ძაღლი სულგანაბული მიიმალა კუნჭულში და ლოდინი დაუწყო. აი, მოვიდნენ კიდეც სარკმელთან ბოროტ-გამზრახველები. წამოხტა ძაღლი, ეძგერა ერთ იმათგანს და ყელი გამოღადრა, მეორე ამხანაგი შეშინდა, თოფი ხელიდან გაუვარდა და მოჰკურცხლა. მაგრამ სიბრაზისაგან გაცოფებული, ქაფითა და თავისი სისხლით მოსვრილი ძაღლი ახლა იმას გამოუდგა, წააქცია, ამოიდო ქვეშ და ბასრი კბილები გაჰკრა-გამოჰკრა!.. ამასობაში მოსამსახურეებიც ფეხზე დადგნენ სანათებით, სუდგამმაც გამოაღო კარები და ავაზაკები შეიპყრეს... ასე დაიხსნა ძაღლმა პატრონი სიკვდილისაგან.

თეო კანდელაკი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოკი და თინა.

(ძღვნად დომნა იმნაძეს.)

კოკი და თინა მეზობლად ცხოვრობენ. კოკი ოთხი წლისაა, თინა კი ორისა... ორივეს ძრიელ უყვართ ერთმანეთი, თუმც ერთმანეთს ესენი მუდამ ფანჯრიდან ემუსაიფებიან...

თინა ჯდება ფანჯარაზე და კოკის უძახის. თუ კოკი სახლში არ არის, მაშინ თინა კოკის პატარა ძაღლს, ჯეკის თავისებურად ესაუბრება:

— ჯეკი, მოდი, მოდი. — თინა ახლა უკვე სამ სიტყვას ერთად ხმარობს, — ისე ლაპარაკი დიდი ხანი არაა, რაც დაიწყო. წინედ მხოლოდ თითო სიტყვას ამბობდა: „დედა“, ან „მამა“; „კუკური“, „დაჯანა“ და სხვა. შემდეგ ორი სიტყვისა ლაპარაკი ისწავლა, ახლა კი სამ სიტყვასაც ამბობს.

ძლიერ ბევრი ვიცინეთ, როცა პირველად კუკურას სამი სიტყვით შეუტია: „კიდევ ქე იცინისო?“ იმ საღამოსვე გაჯავრებული დედის შესახებ სთქვა: — „ჩემთან რა უნდა?“. ვითომ მე რისთვის მიჯავრდებაო?

როცა კოკი სახლშია, თინას ფანჯარასთან მივა და უძახის: — თინა, თინა?

მოხდება ხშირად ამ დროს, რომ თინა ტირის.

— თინა, რა გატირებს? მე კი არ ვტირი.

ეროვნული

—ნუ თუ, კოკი, შენ არასოდეს არ ტირი?—ეკითხება კოკის თინას დედა.

—ვტირი, როცა მცემენ.

—ვინ გცემს, კოკი, ასეთ ჭკუიან ბავშს?

—დედა, ხან-და-ხან გცემს.

—მე დედაშენს საყვედურს ვეტყვი, რომ ასეთ კარგ ბავშს გცემს.

—თინა, „წკენი" გინდა?—ეკითხება უცებ კოკი თინას.

—თინა ვერ მიხვდა, რას ეკითხება კოკი, ვერც თინას დედამ გაიგო.

—რა არის „წკენი", კოკი?,—კითხულობს თინას დედა.

—აი ის,—ამბობს კოკი და თითით უკვე ფურცლებ დაცვენილ ალუბლის ხის ტოტზე ანიშნებს. ალბათ წკნელი მას თვითონ ძლიერ მოსწონს, და ეს არც გასაკვირველია, კოკი ბიჭია და ამასთან მას მამა ხშირად ცხენით დაასეირნებს.

—მინდა, კოკი, მინდა,—ეუბნება თინა.

კოკი გარბის ეზოში, სტეხს ხის პატარა ტოტს, მოაქვს და თინას ფანჯარაში აწვდის.

თინა სიამოვნებით ართმევს.

კოკის უხარია, უნდა თინას კიდევ ასიამოვნოს და ეკითხება:

—კიდევ გინდა „წკენი", თინა?

მინდა, მინდა,—ამბობს ხარბი თინა.

კოკი ისევ გარბის მეორე წკნელის მოსატანად, მაგრამ გზიდან უკანვე ბრუნდება და თინას ეკითხება:

—თინა, გლახა გინდა, თუ კარგი?

თინამ არ იცის რა უპასუხოს, რადგან არ ესმის, რასაც ეკითხება კოკი; მის მაგიერ დედა ეუბნება:

—კარგი, კოკი, კარგი წკნელი მოიტანე.

კოკი ისევ გარბის და მეორე წკნელი მოაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიდევ გინდა, თინა?

— კი, კი, ბევრი, — ამბობს თინა, თან ორსავე ხელს შლის და ამით ანიშნებს, რომ ბევრი უნდა...

თავდადებული კოკი ისევ გარბის, ახლა უფრო შორს, ბაღში, რომ თინას ბევრი წკნელი მოუტანოს და დიდხანს მისი ალარაფერი ისმის. შემდეგ უცებ ბაღიდან კოკის ყვირილი მოისმის: „მიშველეთ, მიშველეთ“.. მირბიან შინაურები და სიცილით გამოჰყავთ ბაღის ჭიშკარში გაკვეხებული კოკი, რომელსაც ხელში მთელი ბღუჯა წკნელები უჭირავს.

ასე წვალებითა და შრომით მოაქვს კოკის წკნელები თინასთან, რომ მას ასიამოვნოს; თინა კი ცოტა ხანს მათ ათამაშებს და შემდეგ მობეზრებული წკნელებს ფანჯრიდან კოკის უკანვე უყრის.

ლელა იმნაძისა.



# სახალისო სამუშაო.




სურ. 1.

## ხელოვნური ცხენი.

აიღეთ კარტონი, შემოხაზეთ ცხენის სხეულის ნაწილები ისე, როგორც დახატულია მეორე სურათზე და გამოსჭე-რით. შემდეგ შეაერთეთ კუდ-გამონასკული მავთით ან ქაღალ-დის შესაკრავი ღილით ნაწილები ისე, როგორც ნაჩვენებია პირველ სურათზე და გამოვა ცხენი, რომელსაც შეუძლია ყვე-ლა ნაწილების ნძრევა, და თუ გააფერადებთ, ხომ ნამდვილ ცხენსაც არ ჩამოვარდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა




სურ. 2.

# მშობლებს
## ჟურნ. „ნაკადულის“ რედაქციისაგან

განსაკუთრებულ მძიმე პირობებში მოუხდა „ნაკადულს“ წელს მუშაობა.

ამ 15 წლის განმავლობაში, რაც ჟურნალი არსებობს, რედაქცია არასოდეს არ ყოფილა ისეთ აუტანელ მდგომარეობაში, როგორც წელს. საშინელი სიძვირე, ქაღალდის შოვნის შეუძლებლობა, მოუწყობლობა სტამბების საქმის ყველა დარგში—ესა და კიდევ [illegible] დამოუკიდებელი [illegible] სხვა, რედაქციისაგან [illegible] დამოუკიდებელი [illegible] გარემოება ხელს უშლიდა ჟურნალის წესიერ გა[illegible] გარემოება ხელს უშლიდა ჟურნალის წესიერ გამოსვლას და, რასაკვირველია, რედაქციას ფიქრიც კი არ შეეძლო იმაზე, რომ გაეფართოებინა და გაეუმჯობესებინა ჟურნალი, რაც ისე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საბავშვო გამოცემებისათვის ამ ნაციონალურ სახელმწიფოებრივ აღორძინების წლებში. თუ ამ მიზეზებს კიდევ დაუმატებთ ფოსტის ტრანსპორტის მოუწყობლობას, რის გამო პროვინციაში ხელის მომწერთ არ მისდიოდათ რიგიანად ჟურნალი, მაშინ ყველასათვის ნათელი იქნება, თუ რა განსაკუთრებულ ცუდ გარემოებაში უხდებოდა წრეულს მუშაობა ჟურნალის ხელმძღვანელთ.

მომავალ 1920 წელს კი ყველა ტეხნიკური დაბრკოლება, რაც ხელს უშლიდა ჟურნალის თავის დროზე გამოცემას, აღარ იქნება.

ჟურნალის გამოცემის საქმეში დიდ მატერიალურ დახმარებას უწევს რედაქციას სახალხო განათლების სამინისტრო, შეძლებას აძლევს დაფარონ ხარჯები და გააფართოვოს ჟურნალის პროგრამაც. რედაქციას მიღებული აქვს ზომები: და იგი ქაღალდით უზრუნველყოფილია, აშორებულია აგრეთვე სტამბის ტეხნიკური მოუწყობლობა (ჟურნალი იბეჭდება ერთ-ერთ საუკეთესო სტამბაში). საჭიროა აღვნიშნოთ ისიც რომ ფოსტის ტრანსპორტის გაუმჯობესობის გამო ხელის მომწერლებიც თავის დროზე მიიღებენ ჟურნალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ეს გარემოება რედაქციას შეძლებას აძლევს გამომცემლობის ყოველი ტეხნიკური სიძნელე თავიდან აიშოროს და მომავალ წელს თავის დროზე გამოსცეს ჟურნალი, გააფართოვოს და გააუმჯობესოს შინაარსი ბავშვის აზროვნების ახალი მოთხოვნილების თანახმად; ამას მოითხოვს ცხოვრების ახალი წყობილება და ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ამშენებლობა.

რედაქციამ მოიწვია მუდმივი თანამშრომლები ჟურნალის გასაფართოებლად და ახალი პროგრამის შესამუშავებლად, ასე რომ ჟურნალში მომავალ წელს გვექნება განყოფილება—ყოველთვიური მიმოხილვა მსოფლიო ცხოვრებისა, ხელოვნებისა და მეცნიერებისა, ბავშვისათვის გასაგები ენით გაშუქებული—ევროპისა და აზიის ხალხთა პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ახალი ამბები, შესანიშნავი აღმოჩენები მსოფლიო მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ტეხნიკის დარგებში.

რედაქცია მიიღებს აგრეთვე ზომებს, რომ გააშუქოს ჩვენ მეზობელ ერების ცხოვრების საკითხები; განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული საქართველოს კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრების გაშუქებას.

ახლანდელი ხანა ხალხთა ცხოვრებაში ამ ცხოვრების წყობილების რეფორმისა და აღმშენებლობის დიდებული დროა; ქართველი ხალხიც თავისუფალ სახელმწიფოებრივ და კულტურულ შემოქმედების გზაზე გამოვიდა. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, იმ გარემოებას, რომ ბავშვებმა მიიღონ სწორი პასუხი იმათ აზროვნებაში აღძრულ კითხვებზე, რომ იმათი სული არ მოიშხამოს იმ გამხრწნელ საწამლავისაგან, რომელიც შექმნა ომისა და რევოლიუციით გამოწვევულმა ნგრევამ.

რედაქციამ მიიღო ყოველგვარი ზომა ამ მიზნების მისაღწევად; ამ საქმეში დახმარებას უწევს მას მთავრობაც; მაგრამ ყველაფერი ამაო იქნება, თუ რედაქციას არ დაეხმარება თვით საზოგადოება, თუ მხარს არ მისცემს მას ყველაზე უწინ ჟურნალის გამოწერით; ამიტომ რედაქცია მიმართავს მთელ ქართველ საზოგადოებას დახმარებისათვის.

ყველაზე უწინ ჟურნალის მოწოდებას უნდა გამოეხმაურნენ, რედაქციის აზრით, ის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ყველაზე ახლოს სდგანან მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმესთან: ერობებმა, ქალაქების თვითმართველობებმა, პედაგოგიურმა საზოგადოებებმა, ჩვენი ქვეყნის ყველა სასწავლებლებმა მათზე დამოკიდებული ყოველი ზომა უნდა მიიღონ ჟურნალის გავრცელების საქმეში; ზომები უნდა მიი-

ლონ აგრეთვე ყველა პედაგოგებმა და საზოგადო მოღვაწეებმა; ყოველ მშობელს უნდა ჰქონდეს ოჯახში თავის შვილებისათვის ჟურნალი. ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ არ შეიძლება არც ერთ წუთს ბავშვის დატოვება მისი სულიერი მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალ თაობას მოელის სულიერი გადაგვარება.

რედაქცია სთხოვს საზოგადოებას გამოიწეროს ჟურნალი ახლავე, წლის დასაწყისში, და არა წლის ბოლოს, როგორც ეს ბევრს სჩვევია. მხოლოდ წლის დასაწყისში ჟურნალის ხელისმომწერნი მისცემენ რედაქციის საშუალებას გააფართოვოს და გააუმჯობესოს თავისი გამოცემა.

---

დასასრულ უნდა ვაუწყოთ ხელის მომწერთ, რომ წელს რედაქცია ათავებს თავის გამოცემებს მცირეწლოვანთათვის მე-12 და, მოზრდილთათვის—მე-6 ნომრებით. სულ გამოვიდა 8 წიგნი. ყოველი წიგნი რედაქციას უჯდებოდა 7 მანეთზე მეტი, ასე რომ მატერიალურად რედაქცია წელს დიდად დაზარალდა. ჟურნალის ხელმძღვანელნი მაინც გულს არ იტეხენ: ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მშობელნი და აღმზრდელები დახმარების ხელს გაუწოდებენ მათ, რათა არ მოაკლონ თავის ბავშვებს სულიერი საზრდო, რომელსაც დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოსთქვა კიკომ. მარჯვენა ხელი გაშალა მართალი ორატორივით და განაგრძო:

— ამხანაგებო ქათმებო! თქვენ იცით—რისთვის ხართ დამწყვდეულები?! თქვენ იცით ესა? იცით?... და ცრემლები მოუვიდა კიკოს.—თქვენ იმისთვისა ხართ, ამხანაგებო, დამწყვდეულები, რომ ყურძნის ჭამას გიშლიან ვენახში. ეს უსინდისობაა, უსინდისობა! მეც მიშლიან ვენახში შესვლას, და თუ თქვენ გმირები ხართ, გაბალშევიკდით და აჯანყდით! გესმით აჯანყდით, აჯანყდით! კიკომ რო ხმას აუწია, მამალმა:

— ოჭო—ჭო,—ჰოო ხო!—რათა ცხარობს აგრეო.

— ჭო და, თუ თქვენ,—განაგრძო კიკომ,—თუ თქვენ ჭკუა გაქვთ, აჯანყდით, და თქვენ, დედლებო, თქვენ კვერცხს ნუღარასოდეს ნუ დასდებთ, რადგანაც თქვენს პატრონს ის უნდა თქვენ კვერცხსა სდებდეთ და ის კი აღარ უნდა, რომ ვენახში შედიოდეთ და ყურძენსა სჭამდეთ.

— კრრუუ... ნაზის და წვრილის ხმით დაიკრუტუნეს დედლებმა, რომელნიც ყელგადაგდებით მისჩერებოდნენ კიკოს.

— აბა იფიქრეთ, ამხანაგებო, ჯერ ჩემი ბედი რა ბედია, თქვენი რა უნდა იყოს! ჭო, ჩემი ბედი, რომელიც იმითა სჯობია თქვენს ბედსა, რომ თავისუფალი ვარ და ხანდახან საშვალება მაქვს შევძრე ხოლმე ვენახში და ყურძენი ვიკემო, თქვენ კი ეს მთელი ორი კვირაა სულ დამწყვდეულები ხართ! ამიტომ გიმეორებთ აჯანყდით, მილეწ-მოლეწეთ ეს საქათმე, თავი განითავისუფლეთ და მოედევნით ამ ვენახს, ხოლო მერე სამაგიერო გადუხადეთ თქვენს პატრონსა და კვერცხი აღარ დასდოთ! მაშ ასე, ამხანაგებო.

გაუმარჯოს თავისუფლებას!

სთქვა კიკომა და გამოვარდა საქათმიდან.

თითქო კიკოს გარედ გამოსვლით გული მოიცესო, ასტეხეს ერთი წიოკობა ქათმებმა. მაშინ კიკოს მოაგონდა, რომ

გამოსვლისას საქათმის კარი ღია დარჩა, მიბრუნდა კარის დასაკეტათ, მაგრამ ქათმები უკვე გამოსულიყვნენ და თვითონაც შეშინებული იქიდან გაიქცა.

ი. მჭედლიშვილი.

# კვიცი და ცხენი.



კ ვ ი ც ი.

ბიჭები არ მასვენებენ,
სულ ქვიქვირას მეძახიან;
მეც ხომ დედის მოდგმისა ვარ
რატომ ცხენი არა მქვიან?!

ც ხ ე ნ ი.

კვიციც ხარ და ქვიქვირაცა,
აქ რა არის გასაკვირი?
როცა ჩემად მოიზრდები
დაგედგმება უნაგირი.

ლაგამი რომ შეგაწუხებს
და მოგიჭერს მოსართავი,
მაშინ აღარ გენდომება
შვილო, ცხენად შენი თავი!

შიო მღვიმელი.

# ბავშვს.



ნაკადული ცის სარკეა,
მასში ბრწყინავს მზე და მთვარე,
და შენც, ჩემო პაწაწინავ,
შეიტკბე და შეიყვარე.

შიგ ხშირ-ხშირად ჩაიხედე,
თუ გსურს ნახო სახე შენი,
ხან მტრედივით მოღუღუნე,
ხან ჩიტივით აღმაფრენი.

ვ. რუხაძე.

# ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი.

## III.

### ტყეში ნადირობა.

**ჩვენი ძროხები.—შემოპარული ქურდი.—ნადირობა—ჩემი ბრძოლა.—ლომის ბუნაგში.—ამხანაგის დაღუპვა.—შინ დაბრუნება.**

გავიდა რამოდენიმე დღე. სხეული სრულიად გამიმაგრდა და უკვე მუშაობის დაწყება შემეძლო. ჯერ შიგ ქალაქში ვმუშაობდი, გამდლებს ვეხმარებოდი: ვაწყობდით ფუმფლებს და ვაჭმევდით საჭმელს პატარებს. როცა დავიღალე და მომშივდა, მინდოდა ჩვეულებისამებრ მეთხოვნა ძიძებისათვის საჭმელი, მაგრამ გამდლებმა მითხრეს:—კმარა, ახლა სადილი ვჭამოთ! წავიდეთ ზევით!

და ჩვენ ყველანი ზევით გავექანეთ; ჭიანჭველები სახლიდან გამოვედით და იქავე, სახლის ახლო მდგომ ხეზე ავძვერით. იქ მწვანე ჭიების დიდი ფარა დავინახე. ის იყო უნდა ჭიების ჭამა დამეწყო, როცა გამდელმა გამაჩერა:

—რას შვრები? ნუ თუ ჩვენი მროხების ცოცხლად შეჭმა გინდა? აი, შე ბრიყვო! დამაკვირდი და ისე მოიქეც, როგორც მე მოვიქცევი. დავინახე გამდელმა ჭიებს წველა დაუწყო.

მე მივირბინე მწვანე მროხასთან, შევეხე მას ულვაშებით;

ძროხუნამ ორივე რქებისაგან წებოსავით წვენი გამოუშვა. წვენი ძალიან ტკბილი მეჩვენა; მაშინ მეორე ძროხუნასთან მივირბინე, და ისიც თავისი გემრიელი რძით გამიმასპინძლდა. ახლა კი მივხვდი, რომ ჩვენ საკუთარი ძროხების ჯოგი გვყავდა. ჯოგს ვუვლიდით, მტრებისაგან ვიცავდით. ისინი ჩვენ საკუთრებას შეადგენდნენ. მათი კვერცხები ქალაქში შემოგვქონდა და ექვს თვეზე მეტს ვუვლიდით, როგორც ჩვენი ჭიანჭველების კვერცხებს; ამ კვერცხებიდან ჭიები გამოიჩეკებოდნენ, ჩვენი ხბოები. მათთვის განსაკუთრებული ბინა გვქონდა.



ვუვლიდით იმათ, როგორც ჩვენი ჭიანჭველების კვერცხებს.

ხბოებს არასოდეს არ ვჭამდით, ვუცდიდით, სანამ გაიზრდებოდნენ და საწველი გახდებოდნენ.

ბოსლიდან ხბოები გამოგვყავდა მცენარეებზე, საკვებად და სასეირნოდ.

მწვანე ძროხუნებს ჩვენი არ ეშინოდათ; იცოდნენ, რომ არაფერს არ ვავნებდით, მტრებსაც ვაშორებდით. ძროხები სხვა და სხვა ჯიშის გვყავდა; მათ რძეს ერთნაირი გემო არ ჰქონდა; ამიტომ, ვისაც რომელი უყვარდა, იმას სვამდა.

დავლიეთ რძე თუ არა, მუშაობას შევუდექით.

მუშაობის დროს ჩვენს ქალაქში შეუმჩნევლად შემოიპარა უცხო ჭიანჭველა. მას მაშინვე დარაჯი მიეგება, უსუნა და თავზარდაცემულმა დაინახა, რომ ის უცხოა და სხვა ჭიანჭველების ქალაქიდან იყო. მთელი ქალაქი აღშფოთდა; მეც მოვირბინე სანახავად. ის იყო დიდი, საშინელ-ყბებიანი ჭიანჭველა. ჩვენ: მე, ჰერკულესმა, წითელ-ულვაშამ, მივაშურეთ მას.

— სიკვდილი ქურდს! ჩვენი ფუმფლების მოსაპარავად მოსულა! — ყვიროდა წითელ-ულვაშა.

იქნება ისე მოვიდა ჩვენთან სტუმრად?—ვთქვი მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—შეხედეთ, რა საშინელებაა! ყაჩაღია. სიკვდილი მას!—იძახოდა ჰერკულესი.

—ნუ თუ, ძმებო, ჩვენ ქალაქში მოვკლავთ? ის ხომ ერთია, ჩვენ კი ათასი. არ იქნება კარგი. მოდი ისევ ქალაქიდან გავაგდოთ.

—თქვენ, გეტყობათ, გზა აგერიათ, მოწყალეო ხელმწიფევ! მოგვეცით ნება ღირსეულად გაგაბრძანოთ აქედან!

დავიჭირეთ ჭიანჭველა ყბებით და ალაყაფის კარებში გავაგდეთ. იმან იცოდა, რომ მარტო ვერ მოგვერეოდა და თავი მოიმკვდარუნა. მაგრამ, როგორც კი იგრძნო თავისუფლება, ისე გაიქცა, უკანაც არ მოუხედნია.

ამ შემთხვევის შემდეგ რამოდენიმე დღე გავიდა. მე სრულიად გავმაგრდი, ღონივრად ვგრძნობდი თავს, ამიტომ დავპატიჟე ამხანაგები სანადიროდ წასასვლელად.

გამოვედით სამნი: ჰერკულესი, წითელ-ულვაშა და მე. როცა პირველად ჩავედით დაბლა და უკან მივიხედეთ ჩვენი ქალაქის დასანახავად, ძალიან განვცვიფრდით: ისე დიდებულად გვეჩვენა. ჩვენ წინ უზარმაზარი მთა იყო. დიდ მანძილზე მიწაზე ცოცავდნენ ჩვენი ძმები და გზაზე ანადგურებდნენ ყველაფერს. ქალაქის მცხოვრებნი ნახევარ მილიონზე მეტი ვიყავით. და მერე რამდენი ასეთი ქალაქი იყო გაშლილი ტყეში! მილიონამდე ჭიებს ვუსპობდით სიცოცხლეს და ამას გარდა საკუთარი ნახირიც გვყავდა ჩვენ საკვებად. ირგვლივ გაცხარებული მუშაობა იყო: ვინ ჯირკვს მოათრევდა, ვინ ნადავლს, ვინ ქალაქში მუშაობდა. სასიამოვნო იყო ასეთი მშრომელი ხალხის ცქერა. ჩვენი დღევანდელი მოვალეობა—ძიძებისთვის საჭმლის პოვნა იყო.

გადავწყვიტეთ ერთად წასვლა; წამდა-უწუმ გვხდებოდნენ გზაში ჩვენი თანამემულენი, რამოდენიმე მონადირე კიდევაც შემოგვიერთდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუდექით გზას ტყის ბილიკით, სადაც, ბებერ[illegible]რეების სიტყვით, ყველაზე მეტი ჭიების დაჭერა შეიძლებოდა. მივდიოდით, ვმუსაიფობდით; უეცრად ჩვენ გუნდში შემოფრინდა მფრინავი გველეშაპი*) და თვალის დახამხამებაზე მოჰკლა და გადაყლაპა რამოდენიმე ჩვენი ამხანაგი.

— ჯირკვს უკან გავიქცეთ!—დაიყვირა წითელ-ულვაშამ.

ძლივს დამალვა მოვასწარით და საშინელ განსაცდელს გადავრჩით. უზარმაზარმა ვეშაპმა ფრთები დაიქნია, გაიტაცა ნისკარტით ერთი ჩვენი ამხანაგი და გაფრინდა. დაღონებულნი გაუდექით გზას.

მალე გზაზე ბალახთან დავინახე მხტუნავი კალია, რომ დავიჭერდეთ, რა კარგი იქნება მიმეებისთვის შესაწვავად! კალია სამჯერ ჩვენზე დიდი იყო;—დავიმალე და მარჯვე დროს ველოდებოდი. უეცრად კალია შეხტა და ჩემ გვერდით გაჩნდა. სული გავნაბე და უკან მოვიხედე: ამხანაგები არ ჩანდნენ... აჰ, ვიფიქრე მე: რა უბედურებაა, სად წავიდნენ. ასეთი ნადირის ხელიდან გაშვება შეიძლება!?

მოცდის დრო აღარ იყო; მეც გავბედე და სწრაფად თავს დავეცი კალიას. ბრძოლა გაჩაღდა. კალია ხტოდა და მეც ამიტაცა ჰაერში, მაგრამ ამაოდ: ზურგში ყბები მაგრად ჩავჭიდე. ბოლოს კალია დასუსტდა. მაშვინ ადვილად მოვუღე მას ბოლო. ისეთი დიდი იყო, რომ ძლივს დავძარი ადგილიდან.

დიდხანს ვიწვალე მინდოდა წამეთრია კალია. ბოლოს დავრწმუნდი, რომ მარტო ვერას გავხდებოდი და გავიქეცი ამხანაგების საპოვნელად. ჩქარა მივაგენი და სამივემ წავათრიეთ. ძალიან გვემძიმებოდა. გზაში კუნძები შეგვხდა. ბოლოს, როგორც იყო, ყველა დაბრკოლებას ვძლიეთ და გამოვედით სილიან ადგილას. საქმე კარგად მიდიოდა ჩვენდა. დასახმარებ-

*) ალბად რამე ფრინველი იქნებოდა.

ლად შემოგვიერთდნენ ამხანაგები. ჩქარა სახლში უნდა [illegible] ლიყავით დიდი ნადავლით და გვიხაროდა. მაგრამ უეცრად დიდი უბედურება შეგვემთხვა: ყველანი ხრამში ჩავვარდით; ხრამის ძირში რაღაც საშინელი ქმნილება იყო, ვეება-ყბებიანი მთელი მისი ტანი სილაში იყო ჩაფლული. ეტყობოდა ის მოლოდინში იყო, თუ რომელსამე ჩვენგანს, ფეხი დაუცდება და მასთან ჩავარდება. საშინელი, სისხლის მსმელი მტერი იყო.



ეს საშინელი სისხლის მსმელი იყო.

სუყველანი სილაში ჩავიფალით. როცა გონს მოვედით, საწყალი ჩვენი ამხანაგი უკვე მტრის პირში იყო: იგი სისხლს სწუწნიდა.

—ამხანაგებო, არ ვუღალატოთ ამხანაგს,—დაიყვირა წითელ-ულვაშამ. ყველანი მტერს ვეკვეთეთ. ის ამას არ მოელოდა, დაანება თავი მსხვერპლს და ჩვენ დაგვერია. საშინელება რამ იყო! ყბებს აკრაჭუნებდა*).

საწყალი წითელ-ულვაშა ამ დროს ჩაუვარდა ხელში. სისხლის მსმელმა სწრაფად დაიჭირა იგი. ამავე დროს მე და ჭერკულესმა დავიჭირეთ სისხლის-მსმელი და ისე მძლავრად დავუწყეთ ღრღნა, რომ დიდხანს ვერ გაგვიძალიანდა და მოკვდა.

ჩვენ გადავრჩით. საწყალი წითელ-ულვაშა კი ნახევრად—მკვდარი იყო. საშინლად დასახიჩრდა. მე მისკენ გავექანე და ჭრილობას ექიმობა დავუწყე. მე და ჭერკულესმა მისი წაყვანა გა-

*) ალბად აქ ჭიანჭველა მოგვითხრობს ლომ-ჭიანჭველას, ძალიან საინტერესო, ჭიის ამბავს. მისი მსხვილი, მოკლე და რბილი სხეული ორ უკანა ფეხზეა დამყარებული; ოთხ წინა ფეხს კი იგი ვერ ხმარობს, სირბილი არ შეუძლია, და სიმშილით მოკვდებოდა, სილაში ხაფანგის მოწყობა რომ არ იცოდეს. სილას თავით ამოჰყრის ხოლმე ზევით; ქვა თუ შეხვდა სილაში, მარდად თავს ამოსდებს და ამოაგდებს ზევით. როცა გაათავებს მუშაობას, სილაში ჩაწვება და მსხვერპლს ელის.

დავწყვიტეთ: ორმოდან ამოსვლა ძალიან გაგვიჭირდა. სილაზე ფეხები ვერ მოვიმაგრეთ: იგი ლაბლა ცვიოდა. ბოლოს ძლივს-ძლივობით ამოვძვერით; ყველა ნადავლის იქ დატოვება გადავწყვიტეთ, რომ შემდეგ ამხანაგების დახმარებით მოგვეტანა



ჰერკულესმა ყბებით აიყვანა და ისე
წაიყვანა საბრალო.

შინ. საწყალი წითელ-ულვაშა საშინლად იტანჯებოდა; ჩვენ ვცდილობდით ფრთხილად წაგვეყვანა, მაგრამ ორისთვის ეს მოუხერხებელი იყო. ამით საბრალოს ტანჯვა უორკეცდებოდა. ამის მნახველმა ჰერკულესმა გადასწყვიტა წითელ-ულვაშა ყბებით აეყვანა და ისე წაეღო. როგორც ფალავანმა—ისე წაიყვანა საბრალო. მე კი გავიქეცი წინ მშველელების დასაძახებლად.

ასე უბედურად ჩაიარა ჩვენმა პირველმა ნადირობამ.

კაკი.

# შემოდგომა.



ზუ-ზუ!.. ბორიამ ფოთოლთა
ლაშქარი დაატრიალა,
ტყეს შეაფხრიწა ქათიბი,
ბაღნარი გაატიალა;

ხევ-ხუვს ასქდება ღმუილით,
დაეხეტება ავადა;
ვარდის ნორჩ კუკურს, გაუშლელს
მზე დაუბნელა შავადა!

ცვივა და ცვივა ფოთოლი,
ტყე ჰგოდებს საცოდავადა;
ჭლექი შეჰქმნია ბუნებას,
მზეც-კი გამხდარა ავადა.—

მაგრამ კუდრაჭა თინია
არ სწუნობს შემოდგომასა;
ვერ შეურიგდა—არ იქნა
შინ დამშვიდებით ჯდომასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეღარც აშინებს სიცივე,
ვერცა ზუზუნი ქარისა;
ისე გაისმის მისი ხმა,
ვითა წკრიალი ზარისა.

დაჰქროდის და დაჰქროდის ცქრიალა,
გადაქცეული მღერადა;
ქარით ანაფრენ ფოთოლს სდევს
ფეხ-და-ფეხ დასაჭერადა.

ხან ხევში ჩარბის, ხან ბაღში,
ხან გაიჭრება ტყისკენა;
ხანაც შესძახებს მერცხალთ გუნდს,
მიმავალს სამხრეთისკენა:

— მშვიდობით, თქვენ, კუდრაჭებო,
შიკრიკნო გაზაფხულისა;
იცოდეთ, მალე დაბრუნდით,
სულ მალე, თქვენი სულისა;

თან მომიტანეთ იმ ქვეყნის
უცხო ვარდი და იაო;
ჯერ-კი მშვიდობით, უთქვენოდ
ვიდრე არ მომწყენიაო!..—

ზზუ-ზზუ!... ბორიამ ფოთოლთა
ლაშქარი დაატრიალა;
ფოთოლთ თან მისდევს თინია,
მოუსვენარი, ცქრიალა!...

ილ. გოგია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ქვქლგან ცშღია.

პატარა ნიკო დედის ერთა იყო. მას არა ჰყავდა არც დები, არც ძმები. დედ-მამა ძლიერ ანებივრებდა ბავშვს და ყოველ მის სურვილს უსრულებდნენ.

როცა ნიკო შვიდი წლის შესრულდა, მან მოინდომა სასწავლებელში შესვლა.

— შინ მოწყენილა ვარ, სკოლაში კი ბევრი ბავშვები არიან, სხვადასხვა თამაშობის გამართვა შეიძლება! — ეუბნებოდა ნიკო დედას.—აგერ კოწიასაც აბარებენ სკოლაში.

დედამ შეუსრულა თხოვნა და მახლობელ პირველ-დაწყებით სასწავლებელში მიაბარა.

ერთი კვირა ნიკო დიდი სიამით დადიოდა სასწავლებელში.

— მასწავლებლებიც კარგები არიან, ამხანაგებიც ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეავს, ეზოც ფართეა!—მხიარულად ამბობდა იგი. მაგრამ ერთი კვირის შემდეგ მოიწყინა.

— არა, დედა, ჩვენი სკოლა ცუდია. ძლიერ ბევრი გვასდება სწავლა. დასვენება ერთი ბეწოა, და გაკვეთილები აი ამოდენა! — ნიკომ განზე გასწია ხელები. — ლაპარაკი გაკვეთილების დროს არ შეიძლება, არც სიცილი. მასწავლებლები კიდევ საქმეს მიჩირებენ: ნიკო, ცუდად ზიხარ! ფანქარი ისე არ გიჭირავს! რვეული მრუდეთ გიდევს! ნუ ლაპარაკობ, სხვებს უშლი!... აღარ წავალ მაგ სკოლაში! მაგრამ დედამ მოუალერსა და დაპირდა: ოღონდ ნუ იტირებ, და პროჟექტორში წაგიყვანო.

არ გასულა სულ ოთხი დღე, როცა ნიკო ნამტირალევი მოვიდა სახლში.

— რა იყო, გენაცვალე, რად გიტირნია?—შესწუხდა დედა.

— აღარ წავალ მაგ ცუდ სკოლაში!—ჯიუტობით იძახის იგი.—იქ მაწერინებენ დაფაზე, როცა მე ეზოში სირბილი მინდა... გალობის მასწავლებელი კიდევ გამიჯავრდა „რატომ არ მღერი სხვებთან ერთადო“, და კუთხეში დამაყენა... ნიკომ კვლავ ტირილი დაიწყო. სამი დღე გაატარა ნიკომ შინ, და მოიწყინა.

— სხვა სკოლაში მიმაბარე!—ეხვეწებოდა ნიკო დედას.

გაიგო დედამ, რომ მახლობლად ახალი სკოლა გაიხსნა, და მიაბარა იქ შვილი. მაგრამ ერთი კვირაც არ უვლია ნიკოს, და გადაჭრით გამოაცხადა:

— აღარ წავალ სკოლაში! იქ შეგირდები მოსვენებას არ მაძლევენ, ეზოც პატარაა...

მიაბარეს ნიკო მესამე სკოლაში, რომელიც მათ სახლიდან მოშორებით იყო.

ერთ დღეს ნიკო ატყდა:

— არ წავალ იმ ცუდ სკოლაში! ძლიერ შორსაა, მასწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებლები სულ ბებრები არიან, ამხანაგები აბეზრებს!.. სულ ,,მტირალას‘‘ მეძახიან,—გაიძახოდა ნიკო. მამამ გადასწყვიტა შვილი სკოლაში აღარ მიეცა და შინ მოეწვია მასწავლებელი.

ორი კვირა იარა ნიკოსთან მასწავლებელმა და გამოაცხადა:

—— ბავშვის მომზადება ყოვლად შეუძლებელია, იგი გაკვეთილებს არ ამზადებს, მეტად უყურადღებოა, სულ უბრალო შენიშვნის გამო იბუტება, და ადამიანი ხმას ვერ ამოაღებინებსო.

ახლა ქალი მოუყვანეს ნიკოს მასწავლებლად, მაგრამ ერთი კვირაც ვერ შესძლო მან ნიკოსთან მეცადინეობა. ასე ერთ ზამთრის განმავლობაში ნიკომ რამდენიმე მასწავლებელი გამოიცვალა, და ყველა უკმაყოფილო იყო მისი.

ზაფხული ნიკომ მხიარულად გაატარა. მასთან ხშირად დაიარებოდა კოწია მთიაშვილი. ესენი დიდიხნის მეგობრები იყვნენ.

კოწია ჭკვიანი ბავშვი იყო. ძლიერ უყვარდა წიგნების კითხვა, და წაკითხულის გარდმოცემაც დალაგებით იცოდა. მაგრამ ყველაზე მეტად კი სკოლის შესახებ უყვარდა ლაპარაკი.

ერთ დღეს კოწიამ ნიკოს მოუტანა თავისი რვეულები და წიგნები, რომ ეჩვენებინა, თუ როგორ შეესრულებინა საზაფხულო სამუშაო.

— აბა, კოწია, ერთი წამიკითხე რამე!—უთხრა მას ნიკოს მამამ, რომელიც ამ დროს ოთახში იყო.

— რა წაგიკითხო?— მკვირცხლად შეეკითხა კოწია.

— რაც მოგხვდეს, გადაშალე წიგნი, და წამიკითხე! — ალერსიანად უთხრა ნიკოს მამამ. კოწიამ გადაშალა წიგნი და მშვენივრად, მკაფიოდ რამდენიმე სტრიქონი წაიკითხა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ,—შეაქო ნიკოს მამამ.

— აბა, ბიჭო, ახლა შენ წამიკითხე,—მიუბრუნდა იგი შვილს. ნიკომ აიღო წიგნი, და ძლივ-ძლივობით მოახერხა ერთი აზრის წაკითხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უჰ, კითხულობ რაღა, თითქოს ურემს აღმართზე მიატარებ! — უთხრა წყენით მამამ.

— რამდენი წლის ხარ, კოწია? — შეეკითხა ნიკოს მამა პატარა სტუმარს.

— თუთხმეტს ღვინობისთვეს რვა წლისა ვიქნები, — მხიარულად მიუგო ბავშმა.

— ერი-ჰა! მაშ ჩვენი ნიკო შენზე დიდიც კი ყოფილა! — წამოიძახა ნიკოს მამამ. — დიდიხანია, რაცა სწავლობ?

— მე და ნიკო ერთ დღეს მივედით სკოლაში, ოღონდ ეგ მალე გამოვიდა, და მე კი დავრჩი.

დედას ძლიერ მოსწონს ჩვენი სასწავლებელი, და ამბობს „სანამ გიმნაზიაში არ მიგცემ, მაგ სკოლიდგან არ გამოგიყვანო."

— აი, ჰხედავ, ნიკო, შენ რომ ყველგან და ყველაფერზე წუნი არ შეგეტანა, და კოწიასავით მუყაითად გემეცადინა, შენც ახლა ამის ტოლა გეცოდინებოდა; თორემ სწორედ რომ სირცხვილია: მეცხრე წელში ხარ, და ასოებს კი ძლივს არჩევ... მე ძლიერ მინდა, რომ ენკენისთვიდან შენ ისევ იმ პირველ სკოლაში შეხვიდე, სადაც კოწიასთან დაიწყე მეცადინეობა. — გაათავა მამამ. ნიკოს ხმა არ ამოუღია.

შემოდგომაზე ნიკომ ისევ სკოლაში დაიწყო სიარული. მხოლოდ კოწიასთან კი არ მოუნდა ყოფნა.

კოწია უკვე უფროს განყოფილებაში იყო, ნიკო კი ისევ უმცროს განყოფილების მოწაფედ ჩარიცხეს.

ნ. ყარჩიბაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ვახტანგის მურკა.

## I

მთელი ღამე არ ეძინა პატარა ვახტანგს.

თვალებ-დაჭყეტილი იწვა იგი თავის სუფთა და რბილ ლოგინში და ოხრავდა.

რაღაც მოელანდა მაშიკოს, გაჰკრა ასან-თი, დაინახა შვილი და გაუკვირდა.

— რატომ არ გძინავს, შვილო?—ალერსიანი კილოთი ჰკითხა.—გაკვეთილები არ მოამზადე?! დიდი ხანი კი იჯექი მაგიდასთან. რა გაწუხებს?

— მურას დარდი არ მაძინებს.

— კარგი ერთი!—შეუტია დედამ.—ძაღლის დარდიც გავ-წიოთ? დაიძინე! რა ბავშვები არიან ახლა?!—წაიბუტბუტა ქალმა.

მაშიკოს ხვრინვა მალე მოისმა საწოლ ოთახში.

## II.

ნახევარ წლის წინად იმ ეზოში, სადაც იდგნენ მარცვალი—შვილები, მეზობლად იდგა ერთი მოხუცი რუსი. იმან ლაკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა თავისი ადგილი და წავიდა რუსეთში. არ ჰქონია შეძლება, რომ თან წაეყვანა მურკა. ძაღლი დარჩა უპატრონოდ ტფილისში და მთელი დღე საცოდავად დაწანწალებდა ქუჩა-ქუჩა.

ერთხელ იგი გაჩერდა ეზოში კიბის ქვეშ და დაყარა იქ ლეკვები. ვახტანგი და მისი და-ძმები აჭმევდნენ მურკას პურს.

— ხალხი შიმშილით იხოცება, შენ კი ვიღაც ოხერ ძაღლს ლუკმებს უყრი?! — შეუტია ერთხელ ვახტანგს დეიდა მაიკომ.

— მაშ? — მელოგინე მოკვდეს შიმშილით? — ეწყინა ვახტანგს, — ხომ გაუშრა რძე, დაეხოცა ლეკვები!

— გაჩუმდი, თორემ შენ მელოგინეს და იმის ლეკვებს გავაგდებ ეზოდან.

ვახტანგმა დაიწყო ტირილი.

## III.

ქალაქის საბჭომ დაადგინა, რომ ძაღლის პატრონებმა უნდა შეიტანონ გადასახადი; უპატრონო ძაღლები კი უნდა დაეხოცათ. თითო ძაღლზე თუმანი იყო დადებული.

— ეჰ! — ამოიოხრა ვახტანგმა. — მურკასთვის ვინ შეიტანს თუმანს? ხმელი პურის ნატეხები არ ემეტებათ იმისთვის, და შეიტანენ ფულს?! დაახრჩობენ საცოდავს. საწყალი ლეკვები ჯერ არც კი აუხელიათ თვალები! შიმშილით დაიხოცებიან უბედურები.

## IV.

მურკა იწვა მზეზე და აწოვებდა ლამაზ ლეკვებს, თან ალერსიანად ლოკავდა იმათ.

— შე საწყალო! — უცქერდა ამ სურათს ვახტანგი და ჰფიქრობდა: — რომ იცოდე — რა გელის?!

იდგა და ტიროდა მწარე ცრემლით:

— ნეტა ვის უშლის ეს-უბედური? ნეტა ვის დაკლ... ფხიზელი ყარაული მეეზოვეზე უფრო ეს არის. იმ დღეს ქ... მოვიდა; რომ არ ყოფილიყო მურკა,—ქურდობას აი...

## V.

— ნეტავი მქონდეს ფული!—ფიქრობდა ვახტანგი ... ნანობდა,—რო არ მეყიდნა კამფეტები, ხომ მქონდა 1... თი; ახლა სიკვდილისაგან დავიხსნიდი მურკას! ოხრათ ... ჩეს ეს მუცელი! როცა ვხედავ ტკბილ ნამცხვარს, მოკოლ... სულ კანკალი მომდის, მინამ შევჭამ! მურკა-კი უნდა დაამრ...

სკოლაში ამხანაგებმა შეამჩნიეს, რომ რაღაც დარდი ... ხებდა ვახტანგს; გაიგეს მიზეზი, უამბო ვახტანგმა ორი ... ხანავი მოიყვანა ეზოში, უჩვენა მურკა. ძალიან მოეწო... ლეკვები.

— აფსუს! ესენი უნდა დაობლდნენ?!—თქვა ილიკ... დაავლო კოხტა შავ ლეკვს ხელი და მიიხუტა გულში.—... სწუხარ, ვახტანგ! ჩვენ სუყველანიც უშველით მურკას. ცოდ...

## VI.

შაფათს უქეიფოდ გახდა ვახტანგი, და სკოლაში არ ... უშვა დედამ.

კვირა დილით შეგირდების ერთი ჯგუფი ქრიამულით ... ვიდა ეზოში, სადაც იდგნენ მარცვლიშვილები.

ვახტანგმა დაინახა ამხანაგები, ფანჯრიდან გამოვიდა, ალ... სიანად მიესალმა.

ილიკომ რაღაც უჩურჩულა იმას. ვახტანგს სიხარული... აენთო სახე.

— თქვენ მეგობრობას ჩემ დღეში არ დავივიწყებ, დიდ... გმადლობთ!

# შემოწირულება.

**ჟურნ. „ნაკადულის“ რედაქციას.**

თხოვთ მიიღოთ ჩემს უფლებაში დარჩენილი ხუთი თუმანი, ჟურნალის
ს გასაძლიერებლად—სოხუმიდან გამოგზავნილი ს. ქ. სახელით.

**დონ--ლანი.**

---

ივიღეთ ჩოხატაურის ორკლასიან სკოლის მასწავლებელ მარიამ
აძისაგან 70 მანეთი თავის მოწაფეებთა შორის შეგროვილი მესხეთ
ობოლ ბავშების თავშესაფარის სასარგებლოდ.

---

**ღრმად პატივცემულო რედაქტორო!**

21 ნოემბერს მიხეილის დღეობას გავმართეთ საბავშო წარმოდგენა
ალ „ნაკადულის“ სასარგებლოდ. სულ შემოვიდა 648 მ. 50 კ.
რასაც გაახლებთ „სულით და გულით მოძღვნილი მცირედიც შე-
ს“ ღრმა პატივისცემით წარმოდგენის მონაწილენი;

**მიშა, თალიკო, ნიკო, სოსიკო ვარაზაშვილი**
**და ელენე წერეთელი.**

მიიღება ხელის მოწერა

# 1920 წ.

წლისათვის

## დასურათებული

## საყმაწვილო ჟურნალი

# „ნაკადული"

(წელიწადი მეთექვსმეტე)

ჟურნალს სუბსიდია ეძლევა განათლების სამინისტროსაგან. გამოდის გაფართოებული პროგრამით საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის**

**ჟურნალი გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯელ.**
**„ „ მოზრდილთათვის „ ერთჯელ.**

| | | |
|---|---|---|
| წლიურად ორივე გამოცემის ფასი | 150 | მან. |
| ცალ-ცალკე . . . . . . . . | 85 | „ |
| ნახევარი წლით . . . . . . | 90 | „ |

**მისამართი:** თბილისი **„ნაკადულის"** რედაქცია, რუსთაველის (ყოფილი გოლოვინის) პროსპექტისა და დავითის ქუჩის კუთხე, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ტელეფონი № 7—5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შემოწირულება.

ჟურნალ „ნაკადულის“ სასარგებლოდ შევაგროვე და ვუგზავნი მის პატივცემულ რედაქციას.

## შემომწირველთა სია:

| | | |
|---|---|---|
| 1) | თამრიკო სევერიან ღოღობერიძის ასულმა . . . | 25 მან. |
| 2) | გრიშა იოსების ძე ხელაძემ . . . . . . . | 21 „ |
| 3) | ფლორა არტემ მელიქოვის ასულმა . . . . | 5 „ |
| 4) | მიშა გძელიევმა და კატუშა გიორგის ასულმა . . | 10 „ |
| 5) | იოსებ ლევანის ძე ხელაიამ . . . . . . | 10 „ |
| 6) | გალინა, ლიზა და ნინიკო ჩუბინიძის ასულმა . . | 15 „ |
| 7) | ნინუცა და ფათულა იაშვილებმა . . . . | 5 „ |
| 8) | ქეთუშა, ვერიკო, კოლია, ანფისა და სოსიკო ნესტორის ძე და ასულებმა ღოღობერიძეებმა . . | 15 „ |
| 9) | ლიუბა ნიკოლოზის ასულ კუციავასამ. . . . | 5 „ |
| 10) | გუგული და სულიკო კაპანაძის ძე და ასულმა . | 5 „ |
| 11) | მარუსა ნიკო ბარძიმიშვილის ასულმა . . . | 5 „ |
| 12) | ალექსანდრე ველიამინის ძე პეტრიენკო . . . | 10 „ |
| 13) | არსენ სპირდონის ძე ფარჯანაძე . . . . | 5 „ |
| 14) | მარგალიტა და ქეთო—კოლია მალანიას ასულნი . | 5 „ |
| 15) | ლეონილა მალაქიას ასული ჭუბაბრია . . . . | 5 „ |
| 16) | ელიჩკა და მარუსა—მელიქოვის ასული . . . | 5 „ |
| | სულ. . . | 151 მან. |

ქუთაისი.

დათიკო ნ. ღოღობერიძე.